ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 თებერვლის №01-06/03
მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. **„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის
უფროსი: გულადი წითელაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

2. **ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2025 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.**

მომხსენებელი: მერიის ზედამხედველობის სამსახურის
უფროსი: სულიკო სურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

<u>პროექტი</u>

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2026 წლის -- იანვარი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტისა და „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

დადგინდეს ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, თანახმად დანართისა.

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №12 დადგენილება (სსმ, ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 200140030.35.134.016306, 06/03/2020).

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან ცინცაძე**

ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

1. ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“) დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$C_N = I_{MG} \times I_{TL} \times C \times K,$$ სადაც:

ა) C_N - არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

ბ) I_{MG} - არის დაბა ქედის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0.38-ს;

გ) I_{TL} - არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის - 1-ს; (რადგან დაბა ქედაში ზონირება არ ხორციელდება)

დ) C - არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0.24 ლარს;

ე) K - არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის 87.8-ს.

2. პირველი პუნქტის მიხედვით დაბა ქედაში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

I_{MG}	I_{TL}	C	K	C_N (ლარი)
0.38	1	0.24	87.8	8.0

3. ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 30%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2.4 ლარს.

4. ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2.00 ლარს.

5. ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში გამავალი „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 4.00 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-4 პუნქტით დადგენილი ფასი.

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულების საფუძველზე მიღებულ სამართლებრივ აქტში ცვლილებების შეტანა და მისი ჩამოყალიბება ახალი რედაქციით.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია, დადგინდეს ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი - ადგილმდებარეობის მიხედვით და განისაზღვრა მისი გამოანგარიშების წესები.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ სამართლებრივ აქტი (დადგენილება) მიიღოს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ინიციატივისა და მოთხოვნის საფუძველზე. აქედან გამომდინარე სწორედ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის პირველი მუხლის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგენა, სადაც მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი მნიშვნელობა გაიზარდა K – 76,8-ს ნაცვლად მისი მნიშვნელობა განისაზღვრა K-87.8-ით, რამაც გამოიწვია ფასების დადგენის ნაწილში ცვლილებები, გამომდინარე აქედან თუ როგორ ხდება აღნიშნულ საკითხის სამართლებრივი რეგულირება დაწვრილებით გადმოცემულია დადგენილების პროექტზე თანდართულ დანართებში, კერძოდ:

1. ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“) დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$C_N = I_{MG} \times I_{TL} \times C \times K$, სადაც:

ა) C_N - არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

ბ) I_{MG} - არის დაბა ქედის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0.38-ს;

გ) I_{TL} - არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის - 1-ს; (რადგან დაბა ქედაში ზონირება არ ხორციელდება)

დ) C - არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0.24 ლარს;

ე) K - არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის 87.8-ს.

2. პირველი პუნქტის მიხედვით დაბა ქედაში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

I_{MG}	I_{TL}	C	K	C_N (ლარი)
0.38	1	0.24	87.8	8.0

3. ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 30%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2.4 ლარს.

4. ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2.00 ლარს.

5. ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში გამავალი „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 4.00 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-4 პუნქტით დადგენილი ფასი.

ასევე, წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის მე-2 მუხლის შესაბამისად ხდება ძალადაკარგულად გამოცხადდა „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №12 დადგენილება (სსმ, ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 200140030.35.134.016306, 06/03/2020), ხოლო, მესამე მუხლით განსაზღვრულია დადგენილების ძალაში შესვლის საკითხი.

ა.დ) ნორმატიული აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში, რათა სამართლებრივად დროულად მოწესრიგდეს აღნიშნული საკითხი.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დასკვნა.

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/დაექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) ნორმატიული აქტის წარმდგენი: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი გულადი წითელაძე.

GOV 8 26 00004758

13/02/2026

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულმა დეპარტამენტმა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა 2026 წლის 9 თებერვლის №95-95260401 წერილით სამართლებრივი კონსულტაციისთვის წარმოდგენილი „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
ადმინისტრაციის უფროსი

ლევან ჟორჟოლიანი

ზედამხედველობის სამსახურის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2025 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ 2025 წლის საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ შესრულებული იქნა თანამდებობრივი ინსტრუქციით, მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით, სამსახურის დებულებითა და მუნიცილალიტეტის სხვა სამართლებლივი აქტით განსაზღვრული დავალებები. მონაწილეობა მივიღეთ მშენებარე და რეკონსტრუქციაში მყოფი მცირე არქიტექტურული ფორმების, მშენებლობის პროცესში სამშენებლო სამუშაოების სისტემატიური და დროული ზედამხედველობის მონიტორინგში, სამშენებლო ობიექტების დროულად ექსპლოატაციაში მიღების, სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და სხვადასხვა კომისიების მუშაობაში.

სამშენებლო სამართალდარღვევის გამო დაჯარიმებული იქნა 7 ფიზიკური პირი, ერთზე გამოტანილ იქნა დადგენილება დემონტაჟის თაობაზე, რომელიც დროულად შესრულდა. ექვს ფიზიკურ პირს მიეცათ წერილობითი გაფრთხილება უნებართვო მშენებლობის წარმოებისათვის, რათა წარმოედგინათ სათანადო დოკუმენტაცია. გაიცა 6 მითითება, შედგენილია 9 შემოწმების აქტი და გაცემულ იქნა 8 უწყება სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტებზე. ორი ფიზიკური პირის მიმათ გაცემულია სააღსრულებო ფურცელი, რომელიც აღსასრულებლად გადაეგზავნა აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს სამსახურის მიერ გამოტანილი დადგენილებები სამშენებლო სამართალდარღვევის გამო.

ჩატარდა კეთილმოწყობითი და დასუთავების სამუშაოები შპს ქედის ,,კომუნალურსერვის-ის სამსახურთან ერთად სისტემატიურად ხორციელდებოდა პარკების, სკვერების ქუჩების, საფეხმავლო კიბეებისა და ტროტუარების დაგვა-დასუფთავება, ნაგვისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა დაბა ქედისა და მუნიციაპლიტეტის სოფლებიდან. ზამთრის პერიოდში თოვლის საფარისაგან იწმინდებოდა ქუჩები, საფეხმავლო კიბეები და ტროტუარები, ხდებოდა მრავალწლიანი ხეების თოვლის საფარისაგან გაწმენდა. შეძენილ იქნა 55 ერთეული სანაგვე ურნა 1,1 ლ ტევადობის , რომლებიც საჭიროებისამებრ განაწილებული და განთავსებული იქნა დაბის დასახლებასა და სოფლებში. აპრილის თვეში დედამიწის დღესთან, სექტემბრის თვეში: მსოფლიო დასუფთავების დღესთან და წყლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარდა დასუფთავების აქციები ყველა ადმინისტრაციული ერთეულების თემის ცენტრებში და ბათუმი- ახალციხის საავტომობილო გზის ქედის მონაკვეთზე. აქციებში მონაწილეობდნენ საჯარო მოხელეები, შპს, ააიპ-ს მუშაკები მოსახლეობასთან ერთად. მაისის თვეში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ გეგმიური საკითხის ,,ნარჩენების მდგომარეობის შესწავლის ფარგლებში“ განხორციელდა მონიტორინგი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და დაფიქსირდა სამშენებლო ნარჩენებით დანაგვიანებული ტერიტორიები: მახუნცეთის თემში- აკვედუკთან, დაბა ქედაში 9 აპრილისა და სოფელ აქუცის გასასვლელ ხიდთან, დანდალოს თემში- ჭყანისის უბანში, ზვარის თემში- ,,კოლომბრის“ ტერიტორიაზე.

გამოვლენილი დანაგვიანებული ტერიტორიები შპს ,, კომუნალურსერვისი“-ს და მოსახლეობის ძალებით დასუფთავებული იქნა. სისტემატიურად ხორციელდება დაზიანებული გარე განათების ქსელისა და სანათი წერტილების აღდგენა შპს ,,ქედის კომუნალურსერვისი“-ს მიერ.

საანგარიშო პერიოდში მშენებლობის ნებართვის მისაღებად შემოსულ განცხადებებზე გაცემული იქნა 11 (თერთმეტი) სამშენებლო ნებართვა, მათგან 7 ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლზე, ერთი კოტეჯზე, სოფელ პირველ მაისში ლითონის ნაკეთობათა დამზადების საამქროსა. დაბა ქედაში ავტოსამრეცხაოსა და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების მშენებლობაზე. გაიცა მშენებლობის ნებართვები გაზიფიცირბის მიზნით შიდა გამანაწილებელი ქსელის მოწყობის შესახებ სოფლებში: ტაკიძეები,გობრონეთი, ზედა ბზუბზუ, ძენწმანი და არსენაული

კონტროლზეა აყვანილი მდინარე აჭარისწლის სანაპიროდან ინერტიული მასალების მომპოვებელი კომპანიები, რათა არ მოახდინონ ინერტიული მასალების გადაზიდვის დროს გზის სავალი ნაწილის დანაგვიანება. გაფრთხილებულ იქნენ კომპანიები (შპს ,,დამაგი“, შპს ,,რასე“), რათა დაეცვათ დანაგვიანების წესები გამოვლენილი ფაქტების შემთხვევაში მათზე ტარდება კანონით გათვალისწინებული ზომები. ასევე სამსახურის მიერ ხდება გაფრთხილება ფიზიკური და იურიდიული პირებისა, რადგან მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მოახდინონ მოვლა -პატრონობა და არ დაუშვან დასუფთავების წესების დარღვევა.

შპს ,,წყალკანალი“-ს მიერ ტარდებოდა საკანალიზაციო-სანიღვრე არხების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა სახოკიას, აღმაშენებლის, აწჰესის დასახლების, აბუსერიძის ქუჩებზე. ხორციელდებოდა სეპტიკების დაქლორვა და მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავება. სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა ახოს, ქედა-შევაბურისა და ზენდიდის სასმელი წყლის მაგისტრალებს. დაბა ქედაში სისტემატურად ხდება არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდა.

პერიოდულად ხორციელებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახურ, ამორტიზირებულ ობიექტებზე ღონისძიებების გატარება. წერილობითი გაფრთხილების შემდეგ მეპატროეების მიერ აღებული იქნა სავაჭრო ჯიხურები დაბა ქედაში ვ. ფშაველას ქუჩაზე და სოფელ ქვედა მახუნცეთში. დემონტაჟი ჩაუტარდა დაბა ქედაში აღმაშენებლის ქუჩაზე უსახურ სანიტარულ კვანძს. მახუნცეთში (აწჰესის დასახლება) ბათუმი-ახალციხის ცენტრალურ საავტომობილო გზაზე აღებული იქნა უფუნქციო აბრა, ხოლო საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდა საფრთხის შემცველი ღობის დემონტაჟი და ზეხმელი მრავალწლიანი ნარგავების ფესვის ყელძე მოჭრა. ოქტომბრის თვეში დაიშალა უსახური და ამორტიზირებული ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობა სოფელ ნამლისევში ტენდერით, რომელიც განახორციელა შპს ,,მარეთი 777“-მა.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ შესწავლილი და აღწერილი იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საფრთხის შემცველი ავარიული შენობა-ნაგებობები, სადაც დიდი რისკია ნგრევის განვითარებისათვის. გაფრთხილებულ იქნენ წერილობით სოფელ დოლოგანში მერიის ბალანსზე რიცხულ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ:21.0136.056) მდებარე ავარიულ საცხოვრებელ სახლში უკანონოდ დაკავებული ფართის გამონთავისუფლებაზე. აგვისტო-სექტემბრის თვეში სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარდა საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის კვლევები სოფელ დოლოგანში მდებარე

საცხოვრებელ სახლსა და დაბა ქედაში აღმაშენებლის ქუჩაზე ყოფილი თამბაქოს დამამზადებელი პუნქტის შენობებზე, რითაც დადგინდა შენობების ექსპლოატაციაში დაუშვებლობა და საფრთხის შემცველობა, რომლებიც ექვემდებარება დემონტაჟს.

სისტემატიურად ვმონაწილეობ მშენებარე მშენებლობების პროცესში, სამშენებლო ობიექტების დროულად ექსპლოატაციაში მიღებისა და სხვადასხვა კომისიების მუშაობაში. დროულად დასრულდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 26 სოფელში გზებზე მზა ბეტონის საფარის მოწყობისა და 38 სოფელში გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები, რომელზეც სამსახური სისტემატიურად ახდენდა მონიტორინგს.

ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის საშუალებით კანონმდებლობით დადგენილ ვადაში სამსახურმა დროულად მოახდინა რეაგირება შემოსულ განცხადებებსა და წერილებზე, ყველა მათგანს დროულად გაეცა პასუხი.